

ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
- 1.2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
- 1.3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის სფერო, მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

2.1. ცენტრის დანიშნულებაა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა და უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

2.2. ცენტრის მიზნებია:

- ა) სამეცნიერო კვლევების განხორციელება შემდეგი მიმართულებებით: საერთაშორისო ურთიერთობები; ქართველური დიალექტოლოგია; ქუთაისისა და მისი რეგიონის ისტორია და კულტურა; ტექნიკური და ტექნოლოგიური მეცნიერებები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ბ) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- გ) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- დ) სამეცნიერო კვლევების შედეგების დეპონირების, დაპატენტების, კომერციალიზაციის და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

2.3. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტში ფუნდამენტური, გამოყენებითი და ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრაში მონაწილეობა;
- ბ) ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- გ) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზის საფუძველზე პერიოდული ანგარიშების მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისათვის;
- დ) შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ექსპერტული შეფასების საუნივერსიტეტო სისტემის განვითარების ხელშეწყობა;
- ე) უნივერსიტეტის პერსონალისათვის საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ფონდების მუშაობის სპეციფიკის, საკონკურსო პირობების გაცნობა და ტრენინგების ორგანიზება;

ბა საგრანტო განაცხადების შესავსებად;

- ვ) სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების მიზნით შესაბამისი კონტაქტების დამყარების ხელშეწყობა;
- ზ) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- თ) მეცნიერ-მკვლევართა პროფესიული ზრდის მხარდაჭერა;
- ი) საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებში მეცნიერული კვლევების პრიორიტეტების განსაზღვრისა და ზოგადი ხასიათის საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებისათვის მოცემული დარგის აღიარებულ მეცნიერთა მოწვევა სამეცნიერო კონსულტანტებად;
- კ) უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და აღრიცხვა;
- ლ) უნივერსიტეტის სახელით განხორციელებადი სამეცნიერო პროექტების რეგისტრაცია და ანალიზი;
- მ) უნივერსიტეტის პერსონალისათვის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სამეცნიერო ფონდების მოძიების, პატენტების შექმნისა და საავტორო უფლებების დაცვის მიზნით;
- ნ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ექსპერტიზისათვის სათანადო კომპეტენციის ექსპერტების მოწვევა და მათი საქმიანობისათვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- ო) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისათვის, ექსპერტული შეფასების საფუძველზე, რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევებისა და სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მონაწილეობისათვის საჭირო თანადაფინანსებისთვის სახსრების გათვალისწინების შესახებ;
- პ) ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან განვითარებული სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა;
- რ) უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების და სემინარების ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობა;
- ს) სამეცნიერო-კვლევითი შედეგების კომერციალიზაციის, ინოვაციური ტექნოლოგიების მიღწევისათვის საჭირო გეგმის შემუშავება;
- ტ) ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების მომზადება;
- უ) უნივერსიტეტის თანამშრომელთა სამეცნიერო მივლინებების რეგისტრაცია და შედეგების ანალიზი.
- ფ) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა;
- ქ) უნივერსიტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის გამოცემის ორგანიზების მხარდაჭერა;

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

3.1. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტრუქტურა მოიცავს:

- ცენტრის ხელმძღვანელის ოფისს (ცენტრის ხელმძღვანელის თანაშემწე; ცენტრის ხელმძღვანელის ოფისის მენეჯერი; სპეციალისტები შემდეგი მიმართულებით: საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობა, სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაცია, საგრანტო პროექტების კოორდინაცია, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზაცია)
- სამეცნიერო მიმართულებებს: საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით მიმართულება; ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით მიმართულება; ქუთაისისა და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევით მიმართულება; ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით მიმართულება; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება; აგრარულ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება;

3.2. ცენტრში გაერთიანებულნი არიან მკვლევარები და კონსულტანტები, რომელთა სასწავლო და კვლევითი დატვირთვა აისახება მათ შრომით ხელშეკრულებაში უნივერსიტეტთან. ცენტრის მკვლევარებსა და კონსულტანტებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. მკვლევარის თანამდებობაზე უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი.

3.3. ცენტრის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებას კოორდინირებას უწევს მკვლევარი, რომელსაც განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით.

3.4. ცენტრის ხელმძღვანელის საქმიანობის ხელშეწყობა და ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მისთვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით შეიძლება შეიქმნას ცენტრის ხელმძღვანელის საკონსულტაციო ორგანო - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საბჭო, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.

3.4.1. ცენტრის საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც ამ თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.4.2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი:

- ა) წარმართავს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მუშაობას უნივერსიტეტის წესდებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების შესაბამისად.
- ბ) აძლევს შესაბამის მითითებებსა და დავალებებს ცენტრის თანამშრომლებს.
- გ) ცენტრის თანამშრომელთა დისციპლინური (ან სხვა სახის) გადაცდომისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე სვამს საკითხს სათანადო ღონისძიების გატარების შესახებ.
- დ) წარმოადგენს ცენტრს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან.
- ე) უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.